



მარიამ ყიფშიძე

თბილისი 2020

პირველი დიპლომატი ქალი ამერიკაში

ნაშრომი ეხება ფრენსის უილის, ქალს, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში გახდა პირველი ქალი ელჩი, საკითხი მართლაც აქტუალური გახლავთ, რადგანაც ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ მნიშვნელოვან ნაბიჯს, რომელიც შეერთებული შტატების დიპლომატიაში ქალთა თანასწორობისთვის გადაიდგა. ჩვენი კვლევის მიზანია გაცნობოთ ერთ-ერთი ფაქტი, რომელმაც დიპლომატიურ სფეროში ქალთა თანასწორობას შეუწყო ხელი და შეერთებული შტატების ისტორია განსხვავებულ ჭრილში წარმართა.

მანამ, სანამ პირველ ამერიკელ ქალ ელჩზე დავიწყებდეთ საუბარს, მინდა ჯერ გავერკვიოთ, თუ პირველად სად გვხვდება ქალი, როგორც დიპლომატიური სამსახურის შემსრულებელი. სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის ძიების შემდეგ, აღმოვაჩინეთ საინტერესო დოკუმენტი, რომელიც ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ იყო გამოცემული. ამ დოკუმენტის თანახმად, 1507 წელს ესპანეთი გახდა მსოფლიოს ის ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც ქალი დიპლომატიურ სამსახურში დანიშნა: ფერდინანდმა თავისი დაქვრივებული ქალიშვილი ინგლისში ელჩად გაგზავნა და ინსტრუქციებიც ჩააბარა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აეხსნა ჰენრი მე-7-ისთვის პრინც ჰენრისთან ქორწინების დაგვიანების მიზეზი. [3]

1933 წლიდან 1970 წლამდე მსოფლიოში სულ 20 ქალბატონი მუშაობდა დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელად. 1993 წელს მსოფლიოს ცამეტმა ქვეყანამ, ნიკარაგუას და თურქეთის ჩათვლით, აღიარა ქალების უფლება, რომ ემუშავა დიპლომატიურ ან საკონსულო სამსახურში. [1]

ამერიკის შეერთებულ შტატების პირველი ქალი ელჩი კი, ფრენსის უილისი გახლავთ. იგი დაიბადა 1899 წლის 20 მაისს. 1923 წელს სტენფორდის უნივერსიტეტში მიიღო დოქტორის ხარისხი ფილოსოფიაში და, შემდგომ, ვასარის კოლეჯში (Vassar College) პოლიტიკური მეცნიერების ასისტენტ-პროფესორად დაიწყო მუშაობა. მან კარიერა შეცვალა, რადგანაც ამბობდა, რომ მას არა პოლიტიკური მეცნიერების მასწავლებლად უნდოდა ყოფნა, არამედ სურდა, რომ თავად პოლიტიკის ნაწილი გამხდარიყო. ფრენსისმა დიპლომატიური გამოცდები 1927 წელს ჩააბარა, რის შემდეგაც

ჩილემი ჩავიდა თავისი პირველი სამსახურეობრივი მოვალეობის შესასრულებლად, მომდევნო 37 წლის განმავლობაში მსახურობდა შვედეთში, დიდ ბრიტანეთში, ბელგიაში, ესპანეთსა და ფინეთში. [5]

თავისი კარიერული მოღვაწეობისას ფრენსისი ისეთი ისტორიული მოვლენების მოწმე გახდა, როგორცაა:

1. მე-2 მსოფლიო ომის დაწყება - როდესაც ნაცისტები ბელგიაში შეიჭრნენ, 1940 წელს ფრენსისი ბრიუსელში მსახურობდა.
2. ის შვეიცარიაში შეერთებული შტატების ელჩად მსახურობდა მაშინ, როდესაც ქალებს ხმის მიცემის უფლებაც კი არ ჰქონდათ.
3. ცვილონში ელჩის მოვალეობის შესრულებისას ფრენსისი მჭიდროდ თანამშრომლობდა სირიმავა ბანდარაიკესთან (ცვილონელი პირველი ქალი პრემიერ მინისტრი).

მე-2 მსოფლიო ომის დასრულებისთანავე ფრენსისმა სახელმწიფო დეპარტამენტში მდივნად დაიწყო მუშაობა და 1953 წელს პრეზიდენტ დუაით ეიზენჰაუერმა ფრენსისი შვეიცარიაში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩად დანიშნა. ამ დანიშვნით იგი ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში პირველი ქალი ელჩი გახდა. 1957-1961 წლებში ფრენსისი ნორვეგიაში და ბოლოს 1962-1964 წლებში ცვილონში (თანამედროვე შრი ლანკა) ელჩად მუშაობდა. როდესაც ფრენსისმა შრი ლანკაში თავისი მოღვაწეობა დაასრულა, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი განაგრძობდა მისთვის სხვადასხვა დიპლომატიური მისიების მიცემას სხვადასხვა ქვეყნებში. [4]

არსებობს სხვადასხვა პოლიტიკური პირის კომენტარი ფრენსის უილისთან დაკავშირებით, ისინი ფრენსისის ყოფილი თანამშრომლები არიან. ერთ-ერთი ასეთი ადამიანი 1941-1942 წლებში ბრიუსელის საელჩოში მეორე მდივანი ჯეიმს ქოულზ ჰართ ბონბრაითი (James Cowles Hart Bonbright) გახლავთ. იგი ამბობს, რომ ფრენსისი საინტერესო, ბეჯითი და ჭკვიანი ქალბატონი იყო. მისი თქმით, ფრენსისამდე ბრიუსელის საელჩოში სხვა ქალბატონებიც მუშაობდნენ, თუმცა მათ მალევე ოჯახები შექმნეს ან სხვადასხვა მიზეზის გამო დატოვეს სამსახური. ჯეიმსის აზრით, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები იმედოვნებდნენ, რომ ფრენსისსაც იგივე ბედი ეწვეოდა. გარდა ამისა, შეერთებული შტატების დიპლომატიურ სფეროში მოღვაწეობისას

ფრენსისს თაყვანისმცემელიც ჰყავდა (სახელი ჯეიმსმა არ დაასახელა), რომელიც მასთან ერთად ჩილეში დიპლომატიური მისიის შესასრულებლად გაგზავნეს. ეს ქმედება შემთხვევითი არ ყოფილა, დეპარტამენტს იმედი ჰქონდა, რომ ფრენსისი თაყვანისმცემელ თანამშრომელს ცოლად გაყვებოდა და დიპლომატიურ მოღვაწეობას შეწყვეტდა. მაგრამ მან ოჯახის შექნის იდეა უკან მოიტოვა და შემდგომ პერიოდში პირველი ამერიკელი ქალი ელჩიც გახდა. „ის არაჩვეულებრივი ქალია“- ასე ასრულებს ფრენსის უილისის შესახებ თავის კომენტარს ჯეიმს ბონბრაითი. [4]

ფიშერ ჰოუესი (Fisher Howe) ოსლოში მისიის უფროსის მოადგილე (1958-1962 წწ.) ფრენსის უილისის შესახებ იხსენებს: ფრენსისი ძალიან კომპეტენტური, ინტელიგენტი ქალბატონი იყო, ის დეტალურად განიხილავდა ნებისმიერ საკითხს, რომელიც თავის სპეციალობას ეხებოდა. მან კარგად იცოდა, თუ სად იყო საელჩოში ყოველი მტვერის ნაწილაკიც კი და ყოველთვის სათითაოდ და დეტალურად ეცნობოდა გზავნილებს. იქედან გამომდინარე, რომ იმ დროისთვის ფიშერი ოსლოში თავის პირველ დიპლომატიურ სამსახურში იმყოფებოდა, ის თვლის რომ ფრენსისთან მუშაობა ძალიან კარგი შესაძლებლობა იყო იმისათვის რომ იგი უკეთ გაცნობოდა დიპლომატიურ სამსახურს. ქალბატონი უილისი თავის საქმეს ყოველთვის დეტალურად და დაზუსტებით ასრულებდა.

ფრენსისის ოსლოში მოღვაწეობის დროს, შეერთებული შტატების ახალი საელჩო ააშენეს და ნაგებობა ცნობილი არქიტექტორის, ეერო საარინენის (Eero Saarinen) მიერ იყო დაპროექტებული. შეერთებული შტატების გერბთან დაკავშირებით არქიტექტორსა და ელჩს კამათი მოუვიდათ. არქიტექტორმა საელჩოს ნაგებობა ვიკინგების ტრადიციულ სტილში დააპროექტა და სურდა, რომ შეერთებული შტატების გერბი საელჩოს წინ, ქვაფენილში ჩაემუნებინათ. ამ საკითხთან დაკავშირებით ფრენსისმა თქვა: „წესებში მოხსენებულია, რომ შეერთებული შტატების გერბი საელჩოს კედელზე უნდა იყოს მიმაგრებული“. მას უნდოდა, რომ გერბი საელჩოს კედელზე მიემაგრებინათ, რამაც საარინენი ძლიერ აღაშფოთა. საბოლოოდ, როგორც მოსალოდნელი იყო, ელჩმა მოიგო ეს კამათი, რაც დიპლომატის მხრიდან პრინციპულ საკითხზე შეუპოვრობასა და პროტოკოლის და ეტიკეტის საკითხებში ცოდნაზე მიუთითებდა. [4]

ლაურა ლუტკინსი (Larue R. Lutkins) ცეილონში (ახლანდელ შრი-ლანკაში) მისიის უფროსის მოადგილე (1962-1965 წწ.) ყვება ფრენსისის შესახებ: „ის პროფესიონალი იყო,

მან საელჩოში ყველა მომუშავე პირზე უკეთესად იცოდა მათი სამსახურეობრივი მოვალეობა. რის გამოც, იქ მყოფ დიპლომატებს თავიანთი მოვალეობის შესრულების თავისუფლება არ ჰქონდათ, რადგანაც ფრენსისი ცდილობდა, რომ მათ ისე შეესრულებინათ სამსახური, როგორც მას თავად სურდა“. [4]

1983 წლის 23 ივნისს 84 წლის ფრენსისი უილისი, ამერიკის შეერთებული შტატების პირველი კარიერული დიპლომატი ელჩი გარდაიცვალა. [2]

მისს უილისი განსხვავდებოდა შეერთებული შტატების სხვა კარიერული დიპლომატი ქალებისგან იმით, რომ მან შეძლო ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გამხდარიყო. იგი ამბობდა: „მჯერა, რომ წარსულში ქალები არახელსაყრელ მდგომარეობაში იყვნენ იმის გამო, რომ მათ ასწავლიდნენ როგორც „ქალებს“... მიმაჩნია, რომ განათლების სფეროში ყველაფერი თანაბრად ღირებული უნდა იყოს მამაკაცებისა და ქალებისთვის“.

ფრენსისი არაჩვეულებრივი ქალი იყო, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქალების, როგორც სრულუფლებიანი და თანასწორი ადამიანების აღიარებაში. მან დაამტკიცა, რომ ქალი და კაცი თანასწორია და ორივე სქესის წარმომადგენელს პროფესიონალურად და ხარისხიანად შეუძლია ნებისმიერი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება. ჩვენ, მის ხასიათში ბრძოლისუნარიანობას გამოვარჩევდი, რადგანაც ქალების მიმართ იმდროინდელი დამოკიდებულებისა და სირთულეების მიუხედავად, მან შეძლო თავის დამკვიდრება დიპლომატიის სფეროში. ცნობილია ფრენსისის ნათქვამი სქესობრივ გამორჩევასთან დაკავშირებით: „დიპლომატიური კარიერა დავიწყე როგორც თანამდებობის პირმა და არა როგორც ქალმა... ჩემი კარიერის განმავლობაში დავრწმუნდი, რომ სქესი გადავწყვეტ როლს არ ასრულებს დიპლომატიის სფეროში...“.

კიდევ ერთი თვისება, რომელიც ფრენსისი უილისში მოსაწონია, მისი რწმენაა საკუთარი თავის მიმართ, რომელიც მის ნათქვამში და შემდგომ ამ ნათქვამის შესრულებაში გამოჩნდა: „მე არ მინდა უბრალოდ ვასწავლიდე პოლიტიკურ მეცნიერებას, მე მინდა თავად პოლიტიკის ნაწილი გახდე“. და მართლაც, ფრენსისმა მიაღწია იმას, რომ პირველი ქალი ელჩი გახდა.

ბიბლიოგრაფია:

1. ანა მილერ მორინი (Ann Miller Morin) , <http://www.usdiplomacy.org> , Do Women Make Better Ambassadors?: Study of 50 Years of Female Envoys: Shows Gender Can Be <http://www.usdiplomacy.org/downloads/pdf/representative/Morin1994.pdf> (14/05/2019 წ.)
2. მარიამ ხატიაშვილი ,<https://wginfpd.weebly.com>, ქალები, რომლებმაც შეცვალეს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია: ფრენსის უილისი <https://wginfpd.weebly.com/4ge.html> (14/05/2019 წ.)
3. რობერტსონ ჰოლი (Robertson Hall), <https://lisd.princeton.edu/> , OPPORTUNITIES AND CHALLENGES FOR WOMEN IN DIPLOMACY: Ambassador Claudia Fritsche: Permanent Representative of the Principality of Liechtenstein to the United Nations: Ambassador to the United States of America https://lisd.princeton.edu/sites/lisd2017/files/Fritsche_Lecture.pdf (14/05/2019 წ.)
4. Association for Diplomatic Studies & Training ,<https://adst.org> Frances, Willis, The First Career Female Ambassador <https://adst.org/oral-history/fascinating-figures/frances-willis-the-first-career-female-ambassador/> (14/05/2019 წ.)
5. Discover Diplomacy , <https://www.state.gov>, France Elizabeth Willis: Diplomat <https://www.state.gov/discoverdiplomacy/explorer/peoplehistorical/170214.htm> (14/05/2019)